სანოტარო აქტი

ორიათას თვრამეტი წლის შვიდ სექტემბერს, მე ნოტარიუს ირმა ფირცხალავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, მომმართა: შ.პ.ს. "კარიბჭე"-ს (საიდენტიფიკაციო №209456104) დირექტორმა **თემურ გოცირიძემ**, რომლის უფლებამოსილებაც დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 12.02.2018 12:40:28, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B18014869 და შპს »კარიბჭე»-ს (საიდენტიფიკაციო №209456104) წესდებით, რეგისტრირებული 30.04.1997წელს თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგ. №1ა/4-396, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს – **გრიგოლ მოთიაშვილს**.

მე დავადგინე **მისი** პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **თემურ გოცირიძემ** (დაბადებული 20.01.1955წ, ამბროლაურში, პირადი №01011027382, მცხოვრები: თბილისი მეტრომშენის დას. 2) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ **თემურ გოცირიძემ**, ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თვრამეტი წლის შვიდ სექტემბერს, მე, შ.პ.ს. "კარიბჭე"-ს (საიდენტიფიკაციო №209456104) დირექტორმა **თემურ გოცირიძემ**, როგორც – „მიმნდობი", - **გრიგოლ მოთიაშვილს** (დაბადებული 19.03.1950წ. დუშეთში, პირადი №01001007274), როგორც „მინდობილი პირი", მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება: *იყოს ჩემი, როგორც შ.პ.ს. "კარიბჭე"-ს (საიდენტიფიკაციო №209456104) დირექტორის, წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, სს "თელასში", შ.პ.ს. "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში", კომპანია "ახალი ქსელებში", წარადგინოს და მიიღოს ცნობები, საბუთები, ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, ხელი მოაწეროს ჩემს მაგიერ და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.*

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

1. ამ მინდობილობით „მინდობილ მესაკუთრეს" უფლება არა აქვს მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება გადასცეს სხვა პირებს.
2. მინდობილობა გაცემულია *სამი წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.*
3. წინამდებარე მინდობილობა მიმნდობს წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ირმა ფირცხალავამ. მიმნდობმა წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.
4. დანართი: 1. *ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ამონაწერის მომზადების თარიღი 12.02.2018 12:40:28, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B18014869;* 2. შპს »კარიბჭე»-ს (საიდენტიფიკაციო №209456104) წესდება, *რეგისტრირებული 30.04.1997წელს თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს მიერ, რეგ. №1ა/4-396; ასლი; ინახება ჩემს სანოტარო არქივში და თან ერთვის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას, დადასტურებული 08.04.2011წელს ნოტარიუს ი. ფირცხალავას მიერ, რესტრით №110363712;*
5. *„მიმნდობმა" გადაიხადა სანოტარო მომსახურეობის საზღაური - ათი ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა. დღგ ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე ორი ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.*

მიმნდობი:

ნოტარიუსი ირმა ფირცხალავა

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

76861198943918

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N181091374

რეგისტრაციის თარიღი

07.09.2018 წ

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა
მისამართი: თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 2249212

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს ”კარიბჭე”-ს (ს/ნ 209456104) დირექტორის
თემურ გოცირიძის (პირადი №01011027382) მინდობილი პირის
გრიგოლი მოთიაშვილის (პირადი №01001007274)
და
შპს "ლოგოსი"-ს (ს/კ 209479848) დირექტორის
შოთა გორგოშიძის (პირადი №01029006647)

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

ჩვენ, შპს ”კარიბჭე”-ს (ს/ნ 209456104) დირექტორის **თემურ გოცირიძის** (პირადი №01011027382) მინდობილი პირი **გრიგოლი მოთიაშვილი** (პირადი №01001007274) (თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული 07.09.2018წ. ნოტარიუს ი. ფირცხალავას მიერ რეესტრით №181091374) და შპს "ლოგოსი"-ს (ს/კ 209479848) დირექტორი **შოთა გორგოშიძე** (პირადი №01029006647), თანახმა ვართ შპს ”კარიბჭე”-ს (ს/ნ 209456104) და შპს "ლოგოსი"-ს (ს/კ 209479848) კუთვნილ არასაცხოვრებელი ფართის ფასადზე 1-ლ სართულზე, (ამჟამად მოქმედი აფთიაქის ფასადზე) მისამართზე: **ქალაქი თბილისი, მეტრო ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორია** ს/კ 01.11.12.016.030), **თამთა მაისურაძემ** (პირადი №59001094997) *განათავსოს სარეკლამო აბრა* .

რაზედაც ხელს ვაწერთ:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190854696
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.07.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა ფირცხალავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მეტრო "ახმეტელი"-ს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2249212
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	78701509925119

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას ცხრამეტი წლის ცხრამეტ ივლისს მე, ნოტარიუს ირმა ფირცხალავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, გლდანი, მეტრო „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია, მომმართეს **ბატონებმა ბრიგოლი მოთიაშვილმა და შოთა გორგოშიძემ** რომელმაც *წარმოადგინა თანხმობა ორ ეგზემპლარად* და მოითხოვა მასზე **ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბრიგოლი მოთიაშვილმა** (დაბადებული 19.03.1950წ. დუშეთში, პირადი №01001007274, პირადი განცხადებით მცხოვრები: თბილისი, გლდანი, მე-6 მ/რ, კორპუსი 23, ბინა 49) და **შოთა გორგოშიძემ** (დაბადებული 29.04.1960წ. ოზურგეთში, პირადი №01029006647, რეგ: მცხეთა, ს. საგურამო 41-ე ქუჩა №4) მომმართეს.

მე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მათ ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა თანხმობის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან თანხმობაზე ხელმომწერების ნების არაადექვატურად ასახვის გამო.

გადახდილია სახელმწიფო რვა ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, დღგ ერთი ლარი და ორმოცდაოთხი თეთრი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე ორი ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: ირმა ფირცხალავა

საქართველო. ნოტარიუსი ირმა ფირცხალავა * GEORGIA * NOTARY IRMA PIRTSKHALAVA * ГРУЗИЯ * НОТАРИУС ИРМА ПИРЦХАЛАВА * 01022002790*